ალექსანდრე ჯავახიშვილი

ბიობიბლიოგრაფია

АЛЕКСАНДР ДЖАВАХИШВИЛИ

БИОБИБЛИОГРАФИЯ

* მეცნიერება *
* МЕЦНИЕРЕБА *
1984

Александр Джавахишвили

(1875 – 1973)

Биобиблиография

Издательство «Мецниереба»
Тбилиси
1984

ალექსანდრე ჯავახიშვილი

(1875–1973)

ბიობიბლიოგრაფია

გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი
1984

012 [ჯავახიშვილი ა.] + 016 : 91
ჯ 145

ნაშრომი წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლისა და საქართველოში უმაღლესი გეოგრაფიული განათლების ორგანიზატორის ალ. ჯავახიშვილის ბიობიბლიოგრაფიას.

მასში მოცემულია ამ დიდი მეცნიერის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვა, მისი ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღები.

ბიობიბლიოგრაფიაში ვრცელი ადგილი უკავია ალ. ჯავახიშვილის შრომათა ქრონოლოგიურ-ანბანურ ნუსხას, მისი რედაქტორობით გამოქვეყნებულ შრომებსა და ლიტერატურას მის შესახებ. ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1896—1984 წლების მასალას.

Труд представляет собой биобиблиографию выдающегося грузинского ученого и общественного деятеля, основоположника грузинской географической науки и организатора высшего географического образования в Грузии А. Н. Джавахишвили.

В нем дано обозрение жизни и деятельности выдающегося ученого и общественного деятеля.

В биобиблиографии значительное место занимает хронолого-алфавитный перечень трудов А. Н. Джавахишвили, труды опубликованные под его редакцией и литература о нем. Биобиблиография содержит материал, охватывающий 1896—1984 гг.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: გ. ჯიბლაძე (მთ. რედაქტორი), ლ. გაბუნია, ა. ცაგარელი, გ. ციციშვილი, თ. ონიანი, მ. დარასელია, შ. ძიძიგური, ა. აფაქიძე, ჯ. ლომინაძე, ს. ხადური, ნ. გურგენიძე (მდივანი).
შემდგენლები: მ. ბარკავა, ი. დუდუჩავა, შ. ყიფიანი.
რედაქტორები: შ. ყიფიანი, ს. ხადური.
ბიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნაკაშიძისა.

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Г. Н. Джибладзе (гл. редактор), Л. К. Габуния, А. Л. Цагарели, Г. В. Цицишвили, Т. Н. Ониани, М. К. Дараселия, Ш. В. Дзидзигури, А. М. Апакидзе, Дж. Г. Ломинадзе, С. А. Хадури, Н. А. Гургенидзе (секретарь).

Составители: М. И. Баркава, И. М. Дудучава, Ш. Я. Кипиани.

Редактор: Ш. Я. Кипиани, С. А. Хадури.

Библиографический редактор Т. Е. Накашидзе.

ჯ $\frac{4503010100}{М607(06)-84}$ 266—84

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984

ام. كيوبكين

ალექსანდრე ჯავახიშვილი

(სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების არნახული ტემპით განვითარება საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ დაიწყო. გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების ამ აღორძინებასთან ორგანულადაა დაკავშირებული გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჯავახიშვილი საბჭოთა კავშირის უხუცეს გეოგრაფთა და ანთროპოლოგთა პლეადას ეკუთვნოდა. იგი არის საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი.

ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო გამოკვლევებმა შუქი მოჰფინა საქართველოსა და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიის კარდინალურ პრობლემებს; თავისი შრომებით მოიცვა კავკასიისა და საქართველოს თითქმის მთელი გეოგრაფია, — გეომორფოლოგია, კლიმატოლოგია, ეკონომიური გეოგრაფია, კარტოგრაფია, ქვეყანათმცოდნეობა და ლანდშაფტმცოდნეობა; ჩასწვდა საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ისტორიის საკითხებსაც.

თეორიული გამოკვლევებით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოურ გეოგრაფიულ მეცნიერებაში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობენ მისი შრომები, დაწერილი გეოგრაფიული მეცნიერების სტრუქტურაზე, ამ მეცნიერების მომიჯნავე მეცნიერებებთან დამოკიდებულებების ახსნა-გარკვევაზე და თვით გეოგრაფიის შემადგენელი დარგების ამოცანების გაშუქებასა და მომავალი გზების დასახვაზე.

არანაკლებ ღირსშესანიშნავია ალ. ჯავახიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1875 წლის 5 (17) აგვისტოს ქ. გორში, მოსამსახურის ოჯახში.

ალ. ჯავახიშვილმა პირველდაწყებითი სწავლა-განათლება თბილისის სათავადაზნაურო ვაჟთა სასწავლებელში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ, 1887 წელს, იგი თბილისის ვაჟთა მეორე კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს; გიმნაზია 1895 წელს წარჩინებით (ვერცხლის მედლით) დაამთავრა და მოსკოვის უნივერსიტეტში სახელმწიფოს ხარჯზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა.

1895 წელს ალ. ჯავახიშვილი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე შედის, რომელსაც 1900 წელს პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს და ტოვებენ სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად.

ალექსანდრე ჯავახიშვილი თავის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ ორ ათეულ წელს (1917 წლამდე) მოსკოვში ატარებს და უმთავრესად საქართველოს და კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიის სადავო და ნაკლებად ცნობილ საკითხებს იკვლევს; ამ საკითხების შესწავლას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ისტორიის, ურთიერთდამოკიდებულებისა და ნათესაობის გადაუწყვეტელი ან წყვდიადით მოსილი საკითხების გამოსარკვევად.

საქართველოსა და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ფიზიკური ანთროპოლოგიური შედგენილობის შესწავლას, ამ მოსახლეობის შემადგენელი ანთროპოლოგიური ტიპებისა და ჯგუფების წარმოშობის გაშუქებას და მსოფლიო ხალხთა ანთროპოლოგიურ ტიპებთან და ჯგუფებთან მათი დამოკიდებულების საკითხების გარკვევას ალექსანდრე ჯავახიშვილი იწყებს საქართველოს გულის — ქართლის ქართველების შესწავლით. ამ მიზნით იგი 1903 და 1904 წლების ზაფხულის თვეებში ანთროპოლოგიურ კვლევა-ძიებას ვწევა ქართლში.

შემდგომ წლებში ალ. ჯავახიშვილი ანთროპოლოგიურ დაკვირვებებს აგრძელებს საქართველოს დანარჩენ კუთხეებში: 1905 წელს — კახეთსა და მთიულეთში, 1908 წელს — იმერეთსა და რაჭაში, 1909 წელს — გურიაში, 1911 წელს — სამეგრელოში. თითოეულ ამ კუთხეში ალ. ჯავახიშვილმა ას-ასი ცდის პირი შეისწავლა. სულ საქართველოში 900 პირი შეისწავლა, რომელთა შესახებ ას-ასი ზომითი მონაცემი აქვს აღებული. ამ მონაცემებს, მაშინდელი მათი პირდაპირი დანიშნულების გარდა, დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ისეთი პრობლემის გასარკვევად, როგორიცაა ადამიანთა განსაკუთრებული დიდსიმაღლიანობა (გიგანტიზმი) მსოფლიოს ხალხთა, კერძოდ ქართველთა შორის.

საქართველოს ცალკეული მხარეების ქართველების ანთროპოლოგიური დახასიათებისადმი მიძღვნილ სტატიებში, აგრეთვე შემაჯამებელ მონოგრაფიების პირველ თავებში, იმდროინდელი მსგავსი ნაშრომებისაგან განსხვავებით, ალ. ჯავახიშვილი იძლევა საკმაოდ ღრმა და საფუძვლიან გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ დახასიათებას.

ალ. ჯავახიშვილის ანთროპოლოგიური შრომების მაღალმეცნიერულ ღირებულებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ საქართველოს ანთროპოლოგიის ორ მონოგრაფიას (საქართველოს ანთროპოლოგია, ტ. I და II) მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოებამ უმაღლესი სამეცნიერო ჯილდო — პროფესორ ა. პ. რასცვეტოვის პრემიები მიანიჭა 1906 და 1912 წლებში, როგორც ძვირფასი შენაძენი კავკასიის ანთროპოლოგიაში და რომელიც გამოირჩევა მასში მოყვანილი მონაცემების სიუხვით, დეტალური დამუშავებით და მაღალი მეცნიერული დონით.

ალ. ჯავახიშვილის გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ქართლის, კახეთის, მთიულეთის, იმერეთის, რაჭის, გურიისა და სამეგრელოს ქართველები ერთმანეთთან ანთროპოლოგიური ნიშნების მიხედვით დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ, განსხვავებანი კი უმნიშვნელოა, ამასთან ქართველები ადგილობრივ, ავტოხთონურ მოსახლეობას წარმოადგენს კავკასიაში.

ამავე პერიოდში ალ. ჯავახიშვილი მუშაობს საქართველოს ანთროპოლოგიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის დოლიქოკეფალია ქართველთა შორის.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ალ. ჯავახიშვილის შრომა კავკასიის ებრაელების შესახებ. აღსანიშნავია ალ. ჯავახიშვილის დასაბუთებული დებულება, რომ არ არსებობს კავკასიელი, მათ შორის ქართველი ებრაელების ცალკე ანთროპოლოგიური ჯგუფი, რაც დადასტურებას პოულობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში.

ყურადღებას იპყრობს ალ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი რეცენზიები უცხოელ მკვლევართა ანთროპოლოგიურ ნაშრომებზე, სახელდობრ: ადოლფ დირის, ჰანს ვირხოვის, თ. კლუგეს, მუსკატის, ფელიქს ფონ ლუშანის, ჰანს ფელინგერის, ოტო აიხელისა და ო. შლაგინჰაუფენის ნაშრომებზე.

შემდგომ წლებში ალ. ჯავახიშვილის კვლევა-ძიება სცილდება საქართველოს ფარგლებს და სწავლობს კავკასიის თანამედროვე მო-

სახლეობის ანთროპოლოგიას. ამასთან დაკავშირებით, 1913 წელს ალ. ჯავახიშვილი მოხსენებით გამოდის რუს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XIII ყრილობაზე თბილისში კავკასიის ანთროპოლოგიის მორიგი ამოცანების შესახებ. ეს მიზანდასახული კვლევა კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიის შესახებ ალ. ჯავახიშვილმა კაპიტალური მონოგრაფიის შედგენით დააგვირგვინა. ამ მონოგრაფიაში დასაბუთებული ზოგიერთი შედეგი გამოქვეყნდა 1923—1926 წლებში ქართულ და გერმანულ ენებზე. ამ წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში ალ. ჯავახიშვილი ახასიათებს აგრეთვე კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ირანულ, სლავურ და მონღოლურ მოდგმებს და არკვევს მათ დამოკიდებულებას კავკასიურთან.

ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მოსკოვიდან საქართველოში გადმოსვლის შემდეგ (1917 წლიდან) უმთავრესად მიმდინარეობდა საქართველოსა და კავკასიის მრავალფეროვანი ბუნებისა და ნაწილობრივ მისი მოსახლეობის გეოგრაფიული შესწავლის მიმართებით.

1926 წლიდან იგი საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობისა და დასახლებათა გეოგრაფიულ განლაგებას იკვლევს. ამ პრობლემის გაშუქებას გარდა თეორიულისა, პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა.

ალ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში ცენტრალური ადგილი საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგიურ შესწავლას უჭირავს. საქართველოს სსრ ტერიტორიის გეომორფოლოგიური შესწავლის პირველ ეტაპზე საჭირო იყო საქართველოს ზოგადი გეომორფოლოგიური დახასიათების შედგენა, რაც ალ. ჯავახიშვილმა 1926 წელს შეასრულა. ამ მიმართულებით მისი შემოქმედებითი აღმავლობის მაჩვენებელია 1947 წელს გამოქვეყნებული ახალი მონოგრაფია. ამ ნაშრომში დადგენილია საქართველოს რელიეფის გენეტიკური ტიპები და მოცემულია მათი გავრცელების რეგიონები. ამ მხრივ იგი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კაპიტალური შრომა მეთოდური თვალსაზრისით იმდენად მაღალ დონეზეა შესრულებული, რომ იგი სცილდება რეგიონალურ გამოკვლევათა მასშტაბს და ასახავს ფიზიკური გეოგრაფიის ამ დარგის — გეომორფოლოგიის — მდგომარეობას და მის მიღწევებს საბჭოთა კავშირში.

საქართველოს სსრ ტერიტორიის გეომორფოლოგიური შესწავლა მოითხოვდა ზოგადი გეომორფოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების დამუშავებას, მით უმეტეს, რომ მრავალი მეთოდური ასპექტი მთელ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ დაუდგენელი იყო. ალ. ჯავახი-

შვილმა მრავალი შრომა უძღვნა ზოგადი გეომორფოლოგიის კარდინალურ საკითხებს. ალ. ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთიანი ქვეყნების გეომორფოლოგიური შესწავლის საკითხების დამუშავებაში, რასაც მრავალი ნაშრომი უძღვნა.

ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კარტოგრაფიულ გამოკვლევებს. ამ საკითხზე მუშაობა მას მოუხდა საქართველოს გეოგრაფიული პრობლემების დამუშავებასთან დაკავშირებით, აგრეთვე უმაღლეს და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოებზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

ამ უკანასკნელ წლებში ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თაოსნობით განხორციელდა ისეთი საშვილიშვილო, მეცნიერული და კულტურული ღონისძიება, როგორიცაა საქართველოს გეოგრაფიული ატლასის შედგენა-გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე. ეს ატლასი პირველი კომპლექსური გეოგრაფიული, კერძოდ, კარტოგრაფიული ნაწარმოებია და აღნიშნავს მისი განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს. ამ ატლასის შედგენა ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსებიდანვე, 1945 წლიდან, დაიწყო. ამ ატლასის შემქმნელ კოლექტივს, მათ შორის ალ. ჯავახიშვილს, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა 1971 წელს.

ალ. ჯავახიშვილის რამდენიმე ნაშრომი ეხება საქართველოს სსრ ფიზიკურ და ეკონომიურ-გეოგრაფიულ კომპლექსურ საკითხებს. ამა თუ იმ ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიურ-გეოგრაფიულ კომპლექსურ შესწავლასთან ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყნის ლანდშაფტმცოდნეობისადმი მიმართული კვლევა-ძიება. ამ მიმართულებით ალ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1935 წელს ადგენს ლანდშაფტმცოდნეობის კურსის პროგრამას და კითხულობს ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში. გარდა ამისა ქობულეთისა და მახარაძის რაიონების ლანდშაფტების დახასიათების მაგალითზე 1937—1938 წლებში იგი ქმნის რეგიონალურ კომპლექსურ კვლევა-ძიების ნიმუშებს ფიზიკურ გეოგრაფიაში.

ალ. ჯავახიშვილი მუშაობს აგრეთვე საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) შრომების შედგენაზე, რომლებიც მეტად საინტერესოა არა მარტო როგორც საქართველოს ბუნებრივი ლანდშაფტების დახასიათების ნაყოფიერი ცდა, არამედ მეთოდოლოგიურადაც.

ალ. ჯავახიშვილი ამუშავებს აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან საკითხსაც, როგორიცაა ლანდშაფტების ტიპების კლასიფიკაცია. ამასთან გამოყოფს ბუნებრივ (ფიზიკურ-გეოგრაფიულ) და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, კულტურულ (სოციალურ-ეკონომიურ) ლანდშაფტების ტიპების ჯგუფებს, ამ უკანასკნელში ანსხვავებს ელემენტარულ და სინთეზურ ტიპებს.

გეოგრაფიული მეცნიერების ცალკეულ დარგებს გარდა, ალ. ჯავახიშვილი სამეცნიერო კვლევას ეწეოდა გეოგრაფიული მეცნიერების თეორიის საკითხებზეც; მაგალითად, გეოგრაფიული მეცნიერების სტრუქტურა და სხვ. იგი აგრეთვე ამუქებს ფიზიკური გეოგრაფიის დარგების — გეომორფოლოგიის, კლიმატოლოგიის, ხმელეთის ჰიდროლოგიის, ოკეანოგრაფიის, ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის და სხვ. — დამოკიდებულებას მეზობელ საბუნებისმეტყველო დისციპლინებთან და ზუსტად საზღვრავს მათ საგანსა და ამოცანას. ალ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით ჩერდება ეკონომიური გეოგრაფიის როგორც გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი დარგის დახასიათებაზე; ამასთან არკვევს კარტოგრაფიის ადგილს გეოგრაფიულ მეცნიერებაში.

დასასრულ, ალ. ჯავახიშვილი ადგენს გეოგრაფიული მეცნიერების სტრუქტურის სქემას, მისი განვითარების თანამედროვე და აგრეთვე მომავალი ეტაპებისათვის.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიის ბუნების გეოგრაფიული შესწავლა გაცხოველდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რაც გეოგრაფიული მეცნიერების ცალკეული დარგის მკვლევართა წინაშე აყენებდა გადაუდებელ საკითხს, — ამ ტერიტორიის ბუნების გეოგრაფიული შესწავლილობის გამოვლენას. ამავე დროს საჭირო იყო საქართველოს სსრ გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორიის ჩვენებაც. ამასთან დაკავშირებით ალ. ჯავახიშვილი 1941—1961 წლებში აქვეყნებს რამდენიმე გამოკვლევას.

საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული შესწავლილობისა და გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების საკითხების დამუშავებისათვის საჭირო იყო ქართველი ხალხის გეოგრაფიული მემკვიდრეობის გამომზეურება. ამ მხრივ აღსანიშნავია ალ. ჯავახიშვილის შრომები ვახუშტი ბაგრატიონის შესახებ; ალ. ჯავახიშვილის შეფასებით ვახუშტის ნაშრომთა სამეცნიერო მნიშვნელობა საერთოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის — ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის გამოკვლევის იშვიათი ნიმუშია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, რომელიც აგებულია გარკვეული ერთიანი მეცნიერული თვალსაზრისით — გეოგრაფიული მიზანდასახულობით; იგი

ალნიშნავს აგრეთვე ვახუშტის გეოგრაფიული შრომების საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც.

წარსულ გეოგრაფიულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ალ. ჯავახიშვილის მიერ სხვა მკვლევრების შრომების რედაქციაშიც გამოიხატება.

ალ. ჯავახიშვილის შემოქმედებით მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე პედაგოგიურ მოღვაწეობას. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრებამდე, 1899 წელს იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს ამავე უნივერსიტეტის არაორგანიული ქიმიის კათედრაზე, ჯერ ლაბორანტად, ხოლო შემდეგ ასისტენტად; 1900—1917 წლებში მოსკოვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში თანამშრომლობს პრივატ-დოცენტად; 1917 წელს კი მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებზე კითხულობს ანთროპოლოგიის კურსს.

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში ალ. ჯავახიშვილი მნიშვნელოვან სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას კარგად უთავსებს ერთმანეთთან. ამასთან, იგი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იხვეჭს როგორც სტუდენტებში, ისე პროფესორ-მასწავლებლებში.

1900—1917 წლებში ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დასახასიათებლად მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდებით. 1903—1904 წლების მიჯნაზე დეკემბერ-იანვარში, პეტერბურგში რუსეთის ტექნიკური საზოგადოების ინიციატივით მოეწყო ტექნიკური და პროფესიონალური განათლების რუს მოღვაწეთა III ყრილობა. ალ. ჯავახიშვილმა ამ ყრილობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და წაიკითხა საპროგრამო მოხსენებები საბუნებისმეტყველო საგნების თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობათა დაყენების შესახებ კომერციულ სასწავლებლებში და სამუშაო პედაგოგიური კაბინეტების მოწყობის საკითხზე, რომლებიც შემდეგ ამ ყრილობის შრომებში გამოქვეყნდა.

ალ. ჯავახიშვილს განსაკუთრებით აღელვებდა ჩვენში პირველდაწყებითი სწავლებისა და სასწავლებლების სავალალო მდგომარეობა, რასაც 1908 წელს სპეციალურ სტატიას უძღვნის.

1917 წლის გაზაფხულზე, მოსკოვიდან თბილისში გადმოსვლასთან დაკავშირებით, ალექსანდრე ჯავახიშვილი ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოში (ძირითადად თბილისში; აგრეთვე ნაწილობრივ სხვადასხვა დროს ქუთაისში, ბათუმსა და გორში) და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში (აზერბაიჯანში, სომხეთში). ალექსანდრე ჯავახიშვილი 1917—1920 წლებში მუშაობს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჯერ დოცენტის, შემდეგ კი ექსტრაორდინარული პროფესორის თანამდებობაზე. აქ იგი აწყობს გეოგრა-

ფიის კათედრას და კითხულობს ლექციებს ზოგად ფიზიკურ გეოგრაფიასა და ამიერკავკასიის გეოგრაფიაში.

1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო ალ. ჯავახიშვილს იწვევს ახლად დაარსებული გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე და მასვე ავალებს ამ კათედრის გამგეობას. მას შემდეგ ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა.

ალ. ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს კითხულობს გეოგრაფიული მეცნიერების დისციპლინებს: ზოგად ფიზიკურ გეოგრაფიას, ზოგად გეომორფოლოგიას, ზოგად კლიმატოლოგიას, საქართველოს გეომორფოლოგიას, გეომორფოლოგიური კვლევის მეთოდებს, გეომორფოლოგიური კარტირების კურსს, საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიას, ზოგად ლანდშაფტმცოდნეობას, სამხედრო გეოგრაფიას, გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკას, აგრეთვე ზოგად ფიზიკურ ანთროპოლოგიას და სხვ. ამ კურსების კითხვასთან დაკავშირებით იგი ხშირად თვითონვე საზღვრავდა მათ ამოცანებსა და ადგენდა პროგრამებს.

ალ. ჯავახიშვილის აზრით, გეოგრაფიული დისციპლინების სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში შეთანხმებული უნდა იყოს ამ მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონესთან. ამასთან დაკავშირებით, იგი დროდადრო აღნიშნული კურსების პროგრამების კრიტიკულ გადასინჯვასა და განახლებას ახდენდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ალ. ჯავახიშვილის დამსახურება თბილისის უნივერსიტეტში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გეომორფოლოგიური და კარტოგრაფიული სპეციალობების ჩამოყალიბების თაობაზე.

ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა მარტო სტუდენტებთან მუშაობით როდი განისაზღვრება. იგი 1929 წლიდან ხელმძღვანელობს გეოგრაფიის სპეციალობის ასპირანტთა მომზადებას გეომორფოლოგიის, კლიმატოლოგიის, ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის, ლანდშაფტმცოდნეობისა და კარტოგრაფიის სპეციალობებში. იგი აგრეთვე ხელმძღვანელობს სომხეთის, აზერბაიჯანისა და დაღესტნის სამეცნიერო დაწესებულებებიდან მოვლენილ თანამშრომლებს, კონსულტაციებს უწევს მეცნიერ მუშაკებს სადისერტაციო შრომების შესრულებაში.

ალ. ჯავახიშვილი მუდმივად ზრუნავდა საშუალო სკოლების უზრუნველყოფაზე გეოგრაფიული სახელმძღვანელოებით, რუკებით და სავარჯიშო რვეულებით.

ალექსანდრე ჯავახიშვილი მეცნიერთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებიც სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდად მნიშვნელოვან, საჭირო, სასარგებლო და ნაყოფიერ სამეცნიერო-ორგანიზაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასთან აბამებდნენ. ამგვარ მუშაობას ეწეოდა იგი როგორც მოსკოვში, ისე საქართველოში. ივი მოსკოვში მუშაობის პერიოდში საქართველოში არსებულ სამეცნიერო საზოგადოების დავალებებს ასრულებდა; ალ. ჯავახიშვილი მრავალი სამეცნიერო ყრილობის, სიმპოზიუმების, თათბირების, კონფერენციების მუშაობის მონაწილეა.

ალ. ჯავახიშვილი ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორია, რიგი წლების მანძილზე მისი გამგეობის წევრიცაა და აქტიურად მონაწილეობდა ამ საზოგადოების მუშაობაში 1916 წლიდან.

ალ. ჯავახიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სახ. უნივერსიტეტის დაარსების საქმეში გ. ღამბარაშვილთან, ივ. ჯავახიშვილთან, ი. ყიფშიძესთან, პ. მელიქიშვილთან, ი. იმედაძესთან, ე. თაყაიშვილთან ერთად — იგი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანია.

ალ. ჯავახიშვილმა დიდი მუშაობა გასწია საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებისათვის. საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების დაარსების რეალური პირობები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა და ალ. ჯავახიშვილის ინიციატივით კიდეც დაარსდა იგი 1924 წ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გეოგრაფიული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური განათლების სწრაფი წინსვლა მოითხოვდა კარტოგრაფიული საქმის ორგანიზაციას. ეს საკითხი საქართველოში პირველად დაისვა 1921 წელს თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრაზე. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ამ საქმეს. შემდეგ ეს მუშაობა გაიშალა საქართველოს სსრ გეოგრაფიულ საზოგადოებაში, სადაც ჩამოყალიბდა ჯერ კარტოგრაფიული კაბინეტი, შემდეგ კი დამოუკიდებელი საქართველოს კარტოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ თბილისის უნივერსიტეტთან ორგანიზებულ გეოგრაფიის ინსტიტუტს შეუერთდა. 1933—1938 წლებში ალ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტთან არსებული გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობას, ხოლო 1945—1962 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს, როგორც მათი დირექტორი, დაარსების ინიციატორი და ორგანიზატორი.

ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა წარმოადგენს კეთილსინდისიერი, დაძაბული, ტიტანური შემოქმედებითი მოღვაწეობის შესანიშნავ მაგალითს, ჩვენი ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ. მისი დიდი, ნაყოფიერი მოღვაწეობა სათანადოდ იყო და არის დაფასებული.

ალ. ჯავახიშვილი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლით „მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში. 1941—1945 წწ“. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ იგი 1955 წელს დააჯილდოვა სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“.

ალ. ჯავახიშვილმა განვლო ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტად ნაყოფიერი გრძელი გზა. იგი გარდაიცვალა 1973 წლის 22-იანვარს, 98 წლის ასაკში. გეოგრაფიულმა საზოგადოებრივობამ, მისმა კოლეგებმა დაკარგა ერუდირებული, ფართო დიაპაზონისა და დიდი გამოცდილების მეცნიერი; მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა და სტუდენტებმა— შესანიშნავი პედაგოგი, ბრძენი მრჩეველი და აღმზრდელი, უსაზღვრო მოსიყვარულე და სათნო ადამიანი.

ქ. ყავრიშვილი,
შ. ყიფიანი

АЛЕКСАНДР НИКОЛАЕВИЧ ДЖАВАХИШВИЛИ

(Краткий очерк научной, педагогической и общественной деятельности)

Небывалых темпов развития географическая наука и образование в Грузии достигли лишь после установления Советской власти. С этим подъемом географической науки и образования органически связано имя выдающегося ученого, педагога и общественного деятеля Александра Николаевича Джавахишвили.

Академик АН Грузинской ССР, заслуженный деятель науки, почетный член Географического общества СССР, лауреат государственной премии Грузинской ССР, доктор географических наук, профессор А. Н. Джавахишвили принадлежит плеяде старейших географов и антропологов Советского Союза. Он является основоположником географической науки в Грузии и создателем географической школы.

Благодаря многолетним исследованиям А. Н. Джавахишвили, были разрешены кардинальные проблемы антропологии современного населения Кавказа; они получили широкий резонанс в научном мире. Благодаря исключительной научной целенаправленности и высокой умственной одаренности А. Н. Джавахишвили своими многочисленными трудами объял почти все географические проблемы Грузии —геоморфологию, картографию, географию населения, вопросы страноведения и ландшафтоведения; не оставив без внимания вопросы истории географической науки Грузии.

Своими теоретическими трудами А. Н. Джавахишвили внес весомый вклад в советскую географическую науку. К ним относятся труды, написанные о структуре географической науки, о взаимоотношениях наук, входящих в общую географию и о взаимосвязи с родственными с географией наук, входящих в науку о Земле.

Немало способностей он приложил как организатор, создав отдельные кафедры на географическом факультете в Тбилисском университете, где он воспитывал научные кадры географов.

Кроме того, блестящие способности организатора в науке сказались при создании научно-исследовательского Института

географии при Академии наук Грузинской ССР; по его же инициативе было присвоено этому институту имя Вахушти Багратиони, выдающегося мыслителя и географа Грузии XVIII столетия. Немало сил он приложил, создав очаг географов, в лице Географического общества Грузинской ССР, бессменным руководителем которого, почти до последних лет своей жизни являлся А. Н. Джавахишвили.

Родился Александр Николаевич Джавахишвили 5(17) августа 1875 г., в городе Гори, в семье служащего.

Начальное образование А. Н. Джавахишвили получил в Тбилисской дворянской мужской грузинской гимназии. После окончания начальной дворянской гимназии в 1887 году он поступает в Тифлисскую мужскую вторую классическую гимназию, которую он закончил в 1895 г. с серебряной медалью и с правом поступления в Московский университет за государственный счет.

В 1895 г. А. Н. Джавахишвили поступает на физико-математический факультет Московского университета (на отделение естествознания). В 1900 г. он окончил физико-математический факультет Московского университета, получив диплом первой степени и был оставлен в университете для подготовки к профессорскому званию. Еще с 1899 года он работал лаборантом по неорганической химии, чем и увлекался в те годы.

До 1917 г. в Москве он разрабатывает в ту пору малоизвестные и спорные многие вопросы антропологии современного населения Кавказа.

В эти годы А. Н. Джавахишвили производит свои антропологические изыскания в Картли (1903 и 1904 гг.), в Кахети и Мтиулети (1905 г.), в Имерети и Раче (1908 г.), в Гурии (1909 г.) и Мегрелии (1911 г.).

О выводах своих региональных антропологических исследований Александр Николаевич докладывал на научных заседаниях Общества любителей естествознания, антропологии и этнографии, а затем публиковал свои работы в виде отдельных статей, очерков и монографий.

В противоположность другим антропологам, А. Н. Джавахишвили освещает в виде введения географические, этнографические и исторические вопросы на очень высоком научном уровне.

О научных достоинствах антропологических трудов А. Н. Джавахишвили свидетельствует и тот факт, что его две монографии «Антропология Грузии, т. I, Грузины Карталинии и Кахетии» и «Т. П. Грузины Имеретии, Гурии и Рачи» были удостоены высшей наградой Общества любителей естествознания, антропологии и этнографии медалями имени профессора Расцветова (1906 и 1912 гг.). Эти книги расценивались и расцени-

ваются ныне как ценный вклад в изучении антропологии Кавказа.

В этих трудах А. Н. Джавахишвили утверждает, что грузины Картли, Кахети, Мтиулети, Имерети, Рачи, Гурии и Мегрелии по антропологическим признакам представляют единую расу, мало чем отличающуюся друг от друга и что грузины принадлежат автохтонному населению Кавказа.

В этом же периоде А. Н. Джавахишвили разрабатывает такой важный вопрос антропологии, каким является долихоцефалия среди грузин.

Исключительный интерес представляют работы А. Н. Джавахишвили о кавказских евреях. По мнению ученого, не существует обособленной антропологической группы кавказских евреев так же, как и обособленной антропологической группы грузинских евреев. Подтверждением этого важного научного вывода могут служить труды классиков марксизма-ленинизма.

Много рецензий писал А. Н. Джавахишвили на антропологические труды иностранных ученых: Адольфа Дирра, Ганса Вирхова, Т. Клуге, Муската, Феликса фон Лушана, Ганса Фелингера, Отто Айхеля, Отто Шлагинхауфена и др.

В 1910 г. в Москве, на XII съезде русских врачей и естествоиспытателей А. Н. Джавахишвили доложил о результатах своих многолетних антропологических исследованиях. Интересы молодого ученого объяли проблемы антропологии всего Кавказа. О результатах этих проблем ученый доложил также и на XIII съезде русских врачей и естествоиспытателей, созванном в Тифлисе, где он поделился назревшими проблемами будущего, по исследованию современного населения Кавказа. Эта целенаправленная работа завершилась капитальным трудом «Современное население Кавказа. Сравнительно-антропологическое исследование» в 1917 г. Некоторые выводы указанного труда были опубликованы несколько позже на грузинском и немецком языках.

В 1923—1925 гг. А. Н. Джавахишвили публикует антропологическую схему деления современного населения Кавказа и дает научное обоснование необходимости выделения кавказской антропологической расы.

В указанные годы А. Н. Джавахишвили публикует также работы о славянах, иранцах и монголоидных национальностях, проживающих на территории Кавказа. Выводы ученого об автохтонном происхождении грузин вскоре подтвердились уже в советском периоде и другими антропологами, археологами и историками.

С 1917 г. научно-исследовательская деятельность А. Н. Джавахишвили уже протекала на своей родине — в Грузии. Ученый

занят новой научной проблемой — исследованием географического расселения горного населения Грузии по высотным зонам в пределах Большого Кавказа. Эта региональная работа в аспекте метода исследования представляет исключительный интерес.

В научной деятельности А. Н. Джавахишвили центральное положение занимают его геоморфологические труды. В 1926 г. А. Н. Джавахишвили публикует свою первую монографию по данной проблеме — «География Грузии, том I. Геоморфология». В ней автор обобщил богатейший фактический материал.

В 1947 г. выходит в свет вторая геоморфологическая монография А. Н. Джавахишвили, в которой автор впервые установил типы рельефа и регионы их географического распространения на территории Грузии. Этот капитальный труд и ныне является настольной книгой каждого географа, занимающегося географическим исследованием Грузии.

В научно-исследовательской деятельности А. Н. Джавахишвили заслуживают большое внимание его картографические работы, которые создавались ученым параллельно с геоморфологическими исследованиями и с установлением закономерностей распространения расселения населения на территории Грузии.

В последние годы жизни Александра Николаевича была осуществлена его многолетняя мечта — создать национальный географический атлас Грузии. И в Институте географии имени Вахушти был создан этот атлас на грузинском и русском языках. За этот научный подвиг А. Н. Джавахишвили, его ученый преемник Ф. Ф. Давитая и другие были удостоены государственной премией Грузинской ССР.

Трудно переоценить роль А. Н. Джавахишвили в области развития картографии в Грузинской ССР. По инициативе А. Н. Джавахишвили на геолого-географическом факультете Тбилисского университета была создана картографическая специальность, которая обеспечивает молодыми кадрами научные и другие учреждения.

Среди естествоиспытателей много таких ученых, которые прогресс науки видят в дифференциации и обособлении отдельных наук. К числу таких ученых относятся немало и географов. Однако, благодаря А. Н. Джавахишвили и его теоретическим прогрессивным взглядам, география развивалась в Грузии и по отдельным наукам, входящим в общую географическую науку, и путем их интеграции. Поэтому не случайно, что он содействовал развитию такой синтезирующей отрасли географии, как ландшафтоведение.

По мнению А. Н. Джавахишвили в будущем ландшафтоведение должно занять такое же прочное положение как в физи-

ческой географии, так и в экономической географии, ибо, необходимо наравне с исследованием природных, так и антропогенных, т. е. рукотворных ландшафтов.

Пришел черед переосмысливать историю географической науки, в связи с чем в 1941—1961 гг. А. Н. Джавахишвили публикует свои новые работы. Особого внимания требует его отношение к географическим работам Вахушти Багратиони, этого выдающегося мыслителя и географа XVIII века.

В научной деятельности А. Н. Джавахишвили необходимо дать дань его педагогической деятельности. Заслуживает внимания, что еще со студенческих лет А. Н. Джавахишвили включился в педагогическую работу Московском университете и других высшеобразовательных учреждениях Москвы; снискав уважение и любовь среди студенчества и профессуры в Московском университете, он приобрел много друзей и высокое реноме молодого талантливого ученого и педагога.

1917 год — начало нового этапа в жизни А. Н. Джавахишвили, в связи с его переездом на родину. В Тбилиси он организовывает кафедру географии в Политехническом институте. Однако в 1920 году Ученый совет во вновь созданном Тбилисском университете приглашает А. Н. Джавахишвили профессором и руководителем кафедры географии и антропологии. С этого года и до последних дней своей долгой жизни Александр Николаевич не покидал родного университета; он читал лекции по следующим дисциплинам: общей антропологии, общей физической географии, общей геоморфологии, общей климатологии, физической географии Грузии, курс по геоморфологическому картированию, по методам геоморфологических исследований, военной географии и другим дисциплинам.

Исключительную заботу проявил А. Н. Джавахишвили в работе со своими аспирантами, которых он готовил в области: геоморфологии, картографии и физическому страноведению.

Наравне с университетским образованием А. Н. Джавахишвили всегда интересовался и школьной географией. С этой целью он написал учебник по физической географии Грузии, который ежегодно переиздавался на четырех языках: грузинском, русском, армянском и азербайджанском.

Правительство, высоко оценив научную и общественную деятельность преданного народу ученого, наградило А. Н. Джавахишвили орденом Ленина, двумя орденами Трудового Красного Знамени, а также медалью «За доблестный труд в Великой Отечественной войне 1941—1945 гг.», нагрудным значком «Отличник народного образования».

Для Александра Николаевича Джавахишвили как человека была характерна удивительная простота и доступность в общении с людьми. Его кабинет директора Института геогра-

фии имени Вахушти всегда был доступен каждому сотруднику института, а в Тбилисском университете его ученики и молодые коллеги имели возможность получать его мудрые советы и научные консультации в географической библиотеке, где его рабочий стол занимал скромный уголок в глубине просторной библиотеки, носящей ныне имя академика А. Н. Джавахишвили.

Александр Николаевич внушал глубокое уважение здравостью своих суждений, цельностью и прямотой своего характера. Несмотря на преклонный возраст, он смотрел все время вперед и ясно видел перспективы будущего географической науки.

Проделанная им большая работа на пользу науки превосходит обычно выпадающему на долю одного маститого ученого, поэтому наравне с Вахушти Багратиони, Александра Николаевича Джавахишвили и будущие поколения будут считать основоположником географического мышления и географической науки в Грузии.

К. В. Кавришвили,
Ш. Я. Кипиани

ALEXANDER N. JAVAKHISHVILI

(Review of his scientific, academic and public activities)

The establishment of Soviet Power in Georgia created favourable conditions for an unprecedented development of education and, inter alia, for the geographical science. The name of Alexander N. Javakhishvili is inseparably associated with this progress of the geographical science and education in general.

Academician of the Georgian Academy of Sciences, Merited Scientist, honorary member of the USSR Geographic Society, winner of a State Prize of the Georgian SSR, Doctor of Geographical Sciences, Professor A. N. Javakhishvili was one of the oldest geographers and anthropologists in the Soviet Union. He was the founder of Soviet Georgian geography which, under him, developed into a school.

His research, to which he devoted many years of his life, solved the cardinal problems of anthropology of the contemporary population of the Caucasus; the results of his investigations became widely known in the scientific world. He was a born scientist, and, owing to his exceptional purposefulness, his numerous works covered almost all the geographical problems of Georgia: geomorphology, cartography, the geographical distribution of the population, problems dealing with various peculiarities of the land and its people, and the varied terrain of the country; neither did the history of geography of Georgia escape his attention.

The theoretical works of A. N. Javakhishvili are a significant contribution to Soviet geographical science; among these are publications devoted to the structure of this science, to the interrelations between sciences composing general geography and to their links with adjacent sciences, making part of the geography of the Earth.

As an organizer, he spared no effort in setting up a number of faculties in the geographical Department of Tbilisi University, where he trained future researchers.

Moreover, his brilliant capacities as an organizer of science were again manifested when he set up the Institute of Geography, a research centre under the auspices of the Georgian Academy of Sciences; on his initiative the institute was named after Vakhushti Bagrationi, a prominent Georgian thinker and geographer of the 18th century. Prof. A. N. Javakhishvili was the virtual founder of the Geographical Society of the Georgian SSR, at the head of which he remained almost to the very last years of his life.

Alexander N. Javakhishvili was born on August 5 (17 New Style), 1875, in the town of Gori, into a government official's family.

A. N. Javakhishvili began his schooling in Tbilisi at the Georgian Gymnasium for sons of the gentry.

Leaving the above school in 1887, he pursued his studies at the Second Classical Gymnasium for Boys in Tbilisi. In 1895 he completed the course, winning a gold medal and the right to a state grant at Moscow University where he became a student of physics and mathematics (Subdepartment of Natural Sciences).

In 1900 A. N. Javakhishvili graduated from the Department of Physics and Mathematics with honours and was invited to remain at the University to prepare for a professorship. As early as in 1899 he began to work as an assistant in organic chemistry in which he was particularly interested at the time.

Until 1917 he remained in Moscow, investigating numerous problems pertaining to the anthropology of the contemporary population of the Caucasus, problems that were then controversial.

A. N. Javakhishvili conducted his anthropological investigations in Kartli (1903 and 1904), in Kakheti and Mtiuleti (1905), in Imereti and Racha (1908), in Guria (1909), and in Megrelia (1911). A. N. Javakhishvili submitted the conclusions of his regional anthropological investigations to the scientific sessions of the „Society of Lovers of Natural Science, Anthropology and Ethnography", after which he published his works in the form of separate papers, essays and monographs.

Unlike other anthropologists, A. N. Javakhishvili supplied his works with prefaces containing ample scientifically grounded geographic, ethnographic and historical data.

The scientific merits of A. N. Javakhishvili's anthropological works are testified to by the fact that two of his monographs, „On the

Anthropology of Georgia", vol. 1; „The Georgians of Kartalinia and Kakhetia"; „The Georgians of Imeretia, Guria and Racha", vol. 2, received the highest award of the Society for Natural Sciences, Anthropology and Ethnography (1906 and 1912). Both books were regarded as a valuable contribution to the study of Caucasian anthropology.

A. N. Javakhishvili came to the conclusion that the Georgians of Kartli, Kakheti, Mtiuleti, Imereti, Racha, Guria and Samegrelo, according to their anthropological features, constitute a single race with just a few minor differences between them and that the Georgians belong to the autochtonous population of the Caucasus. During the same period A. N. Javakhishvili worked on such an important problem of anthropology as dolichocephaly among Georgians.

The works of A. N. Javakhishvili devoted to Caucasian Jews are of exceptional interest. He suggests that there is no such thing as a separate anthropological group of Caucasian Jews, nor is there such a group of Georgian Jews. The works of the classics of Marxism-Leninism may serve as a corroboration of this important scientific deduction.

A. N. Javakhishvili reviewed quite a number of publications on anthropology written by foreign scholars: Adolf Dirr, Hans Wirhoff, T. Kluge, Muskat, Felix von Luschan, Hans Felinger, Otto Eichel, Otto Schlaginhauffen, et al.

At the 12th Congress of Russian physicians and naturalists held in Moscow in 1910, A. N. Javakhishvili presented an account of his anthropological investigations of several years. The interests of the young scholar embraced the anthropology of the entire Caucasus. He also gave an account of his results at the 13th Congress of Russian physicians and naturalists held in Tiflis, where he outlined his plans regarding future investigations of the contemporary population of the Caucasus. This purposeful investigation culminated in the publication of a comprehensive work entitled „The Contemporary Population of the Caucasus. A Comparative Anthropological investigation" (1917). Some conclusions to this work were published somewhat later in the Georgian and German languages.

Between 1923 and 1925 A. N. Javakhishwili published an anthropological chart of the contemporary population of the Caucasus, providing a scientific substantiation to the necessity of singling out the Caucasian anthropological race.

During the same years, A. N. Javakhishvili published papers on the Slavs, Iranians, and Mongoloid nationalities residing in the Caucasus. A. N. Javakhishvili's deductions concerning the autochtonous origin of the Georgians were soon corroborated in the Soviet period by other anthropologists, archaeologists and historians.

Since 1917, A. N. Javakhishvili pursued his scientific work in Georgia, his homeland. The scholar turned to a new problem—the geographical distribution of the highland population of Georgia altitude-wise within the Greater Caucasus. As regards the method of investigation, he again resorted to the regional method, which makes the work exceedingly interesting.

A central place in A. N. Javakhishvili's scientific activity is held by geomorphology. In 1926 he published his first monograph on this problem, „The Geography of Georgia", vol. 1. „Geomorphology'". In it the author generalized a wealth of factual material, thus creating a detailed geomorphological characterization of Georgia's territory.

1947 saw the publication of A. N. Javakhishvili's second monograph on geomorphology; in this book the author first established the types of terrain and the regions of their geographical distribution over Georgia's territory. This comprehensive work is a reference book for every geographer engaged in geographical investigation of the country.

In the scientific activities of A. N. Javakhishvili his work in the line of cartography occupies a prominent place; the scholar combined this work with parallel investigations in geomorphology, attempting, at the same time, to establish some regularities in the spread of the population over the territory of Georgia.

Towards the close of his life A. N. Javakhishvili's long-cherished dream, — to compile a geographical atlas of Georgia—came true. This atlas, in Georgian and Russian, was made at the Vakhushti Institute of Geography in Tbilisi. A. N. Javakhishvili's dream was materialized in 1964 when the „Atlas of Georgia" in two languages came off the press. This signal event won A. N. Javakhishvili, F. F. Davitaya and other co-authors a State Prize of the Georgian SSR.

A. N. Javakhishvili's contribution to the development of cartography in Georgia can hardly be overestimated. it was on his initiative that the Department of Geology and Geography at Tbilisi

University also came to train cartographers who then manned the Institute of Geography and other relevant organizations.

Many researchers into natural sciences, and geographers among them, are inclined to see progress in knowledge as the ramification of major disciplines into sub-branches and development of the latter into separate sciences. However, owing to A. N. Javakhishvili's advanced theoretical views, geography developed both along separate lines and as a whole. It is therefore not fortuitous that he made a major contribution to the development in Georgia of such a synthetic trend in geography as terrain study.

A. N. Javakhishvili was convinced that in future terrain study must find its proper place both in physical and economic geography, as this knowledge is, according to him, indispensable for studying natural and man-made terrain.

Time came to review and reassess the history of geographical science, and A. N. Javakhishvili dedicated to these problems a number of papers which were published in the period between 1941 and 1961.

A. N. Javakhishvili's attitude to the geographic research done by Vakhushti Bagrationi a prominent thinker and geographer of his day deserves special attention.

A. N. Javakhishvili's educational activities must also be duly acknowledged. He had taken up teaching since his student days, at Moscow University, and at other higher educational institutions in Moscow. He won respect among students and profesors as a talented teacher, made a lot of friends and was universally acknowledged as a promising scholar and instructor of the young.

In 1917 A. N. Javakhishvili moved to Georgia, and this marked the beginning of a new period in his life. He set up a faculty of geography at the Polytechnical Institute in Tbilisi. However, in 1920, the Academic Board of the newly established Tbilisi University offered A. N. Javakhishvili a professorship and the Faculty of Geography and Anthropology. From that year to the last days of his life A. N. Javakhishvili never left the University, delivering lectures on general anthropology, general physical geography, general geomorphology, general climatology, the physical geography of Georgia, geomorphologic cartography, methods of geomorphologic investigation, military geography and other disciplines.

A. N. Javakhishvili devoted a great deal of attention to his postgraduate students whom he taught geomorpology, cartography and comprehensive study of the physical characteristics of a country as a whole.

A. N. Javakhishvili also took great care to promote teaching geography at secondary schools. As a personal contribution to this, he wrote a text-book of physical geography of Georgia. This text-book has been translated into other languages and is published every year in Georgian, Russian, Armenian and Azerbaijanian.

The Soviet Government highly appreciated the scientific and public activities of A. N. Javakhishvili, awarding him the Order of Lenin, the Order of the Red Banner of Labour (twice) and the Medal „For Conspicuous Service during the Great Partiotic War of 1941 — 1945".

In 1955 the Ministry of Education of the Georgian SSR awarded A. N. Javakhishvili the badge „Excellent Educationalist".

Personally, A. N. Javakhishvili was a very modest and unassuming man, readily available to anyone who wanted to meet him. His office at the Institute of Geography (of which he was Director) was open to any colleague at any time, and at Tbilisi University his students and young researchers could get his advice and scientific consultation in the geographic library (now bearing his name) where his desk stood in an inconspicuous place in the big reading hall.

A. N. Javakhishvili's sound judgement and straightforwardness won everyone's profound respect. Despite his advanced age he was a progressive thinker and clearly saw the future of geographical science.

The amount of work A. N. Javakhishvili did for the benefit of science and knowledge is more than one man could normally be expected to do; therefore he can be regarded, together with Vakhushti Bagrationi, as the founder of geography in Georgia. Future generations will appreciate him as we do now.

K. Kavrishvili
S. Kipiani